



შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

*დამტკიცებულია რექტორის 2016 წლის
5მარტი N20 ბრძანებით.*

ეთიკის კოდექსი

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში სასწავლო უნივერსიტეტი) თავისუფალ საზოგადოებაში ემსახურება სიმართლისა და ცოდნის ძიებას, რაც ხორციელდება ჯანსაღი კამათის, განსჯისა და გახსნილი, ღია ურთიერთობების საფუძველზე.
- 1.2. ეთიკის კოდექსი წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ეთიკური პრინციპების, ღირებულებებისა და ქცევის ფორმულირებას. ეთიკის კოდექსი მიზნად ისახავს დაეხმაროს სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალსა და სტუდენტებს იმ ეთიკური საკითხების გადაჭრასა და დადგენაში, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას მათი მუშაობისა თუ სწავლის პერიოდში. აღნიშნული სისტემა მიმართულია ასევე კოლეგებთან, სტუდენტებთან, უნივერსიტეტთან და ეროვნულ თუ საერთაშორისო გაერთიანებებთან ურთიერთობების დარეგულირებისაკენ.
- 1.3. სასწავლო უნივერსიტეტი წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს. ასეთ საზოგადოებაში აუცილებელია ყველა წევრი იცნობდეს და პატივს სცემდეს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ საზოგადოების სხვა წევრებისა და სასწავლო უნივერსიტეტის უფლებებსა და ვალდებულებებს.
- 1.4. სასწავლო უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი უნდა მოიქცეს ეთიკის ნორმების დაცვით, პატივს სცემს სხვების ადამიანურ ღირსებას და თავი შეიკავოს სხვისთვის ზიანის მომტანი საქციელის: ძალადობის, ქურდობის, სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ფანატიზმისაგან.
- 1.5. სასწავლო უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაემორჩილოს საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმებს, სახელმწიფო კანონებს, სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსსა და შინაგანაწესს.
- 1.6. სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა პატივი უნდა სცენ ერთმანეთის ინტელექტუალურ საკუთრებას და აღიარონ თითოეული სტუდენტის უფლება მიიღოს განათლება ძალადობის, დისკრიმინაციისა და დაშინებისგან თავისუფალ გარემოში. პერსონალი და სტუდენტები ასევე თავისუფალნი არიან თავიანთი რელიგიური მრწამსის არჩევაში, თუმცა ვალდებული არიან პატივი სცენ სხვის განსხვავებულ შეხედულებებსაც. უნივერსიტეტში დაუშვებელია რელიგიურ თემატიკაზე კონფლიქტური სიტუაციების შექმნა.
- 1.7. ამ დოკუმენტში აღწერილია აკრძალული, დაუშვებელი ყოფაქცევა, შესაბამისი სანქციები და სასწავლო უნივერსიტეტის მხრივ რეაგირების მეთოდები და წესები. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს ამ დოკუმენტში მოყვანილ ნორმებს.

2. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის ქცევის ნორმები

- 2.1. სასწავლო უნივერსიტეტი აღიარებს და იცავს აკადემიურ თავისუფლებას, მიიჩნევს რა მას სწორედ სწავლების, კვლევისა და ერუდიციის აუცილებელ პირობად. სასწავლო და კვლევითმა პერსონალმა უნდა იხელმძღვანელოს სამეცნიერო მუშაობის თავისუფლად განხორციელების სურვილით. სასწავლო უნივერსიტეტი თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ყველა ღონეს იხმარს, რათა დაიცვას თავისი პერსონალი ამ თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი მცდელობისაგან.
- 2.2. სასწავლო უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაემორჩილოს ნებისმიერ საკანონმდებლო და სამეწარმეო მოთხოვნას, ასევე სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესსა და რექტორის ბრძანებებს.
- 2.3. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია თავიდან აიცილოს ან შესაბამისი რეაგირებით შეხვდნენ ისეთ სიტუაციებს, რომლებმაც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ჩრდილი მიაყენონ სასწავლო უნივერსიტეტის რეპუტაციას. ასეთ სიტუაციებად განიხილება სტუდენტებთან, კოლეგებთან და სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლებთან კონფლიქტური, დაძაბული და არაჯანსაღი ურთიერთობები, საკუთარი პერსონის წარმოჩინება, სხვათა მიმართ უპატივცემლობა და ცინიკური დამოკიდებულება, დაძაბული, ნეგატიური ემოციური ფონის შექმნა და ა.შ.
- 2.4. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალმა არ უნდა მოითხოვოს საჩუქარი ან თანხა და არ უნდა წახალისოს ვინმე ასეთ ქმედებაზე, თუკი ეს უკავშირდება მათი მხრიდან სამსახურებრივი უფლება-მოსილების ბოროტად გამოყენებას.
- 2.5. სასწავლო უნივერსიტეტის იმ პერსონალმა, რომელთაც შეხება გააჩნიათ სასწავლო უნივერსიტეტის დოკუმენტაციასთან, საიდუმლოდ უნდა შეინახონ შესაბამისი ინფორმაცია. მათ ასევე ეკრძალებათ ზეპირი საუბრების გამჟღავნება, თუ ამას მოითხოვს საჭიროება. ასევე კონფიდენციალური და გასაიდუმლოებულია პერსონალისა და სტუდენტების პირადი საქმეები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არსებობს სპეციალური მოთხოვნა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.
- 2.6. სასწავლო უნივერსიტეტი აღიარებს ინტელექტუალურ საკუთრებას, მათ შორის გამოგონებებს და საავტორო უფლებებს სამუშაოს სხვადასხვა დარგში. სასწავლო უნივერსიტეტი ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ინტელექტუალური საკუთრების ავტორების წახალისება პრემიებითა და ჯილდოებით.
- 2.7. საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მუდმივად განვითარება სასწავლო უნივერსიტეტის მთელი პერსონალის მოვალეობაა. ისინი

გამუდმებით უნდა ცდილობდნენ აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაციის ხარისხი.

- 2.8. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მიერ თავიანთი საქმიანობის სფეროში განხორციელებულ საზოგადოებისა და თვით ინდივიდისათვის ურთიერთსასარგებლო პროფესიულ და საკონსულტაციო სამუშაოს სასწავლო უნივერსიტეტი მხოლოდ მიესალმება, მაგრამ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სასწავლო უნივერსიტეტის ინტერესებს და არ უნდა აფერხებდეს სასწავლო პროცესის გამართულ მიმდინარეობას. სასწავლო უნივერსიტეტი კონკურსის წესით არჩეულ პროფესორებს უფლება აქვთ იყვნენ მხოლოდ ერთი სხვა სასწავლო უნივერსიტეტის შტატის თანამშრომლები.
- 2.9. საზოგადო გამოსვლა ითვალისწინებს სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის მხრიდან შესაძლო სასაუბრო შეხვედრებსა და კომენტარებს რადიოსა და ტელევიზიის ან ბეჭდვითი ორგანოს საშუალებით, რაც თავისთავად გულისხმობს ფართო საზოგადოების წინაშე წარდგომას. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი თავისუფალია კომენტარებისას, თუმცა თუკი კომენტარს აკეთებენ სასწავლო უნივერსიტეტის სახელით, მათ მოეთხოვებათ ეთიკისა და პროფესიული სტანდარტების უმაღლეს დონეზე გამომჟღავნება. თუკი პერსონალი კომენტარს აკეთებს საკითხზე, რომელიც არ ეხება მათ პროფესიულ საქმიანობას, მათ უნდა დააფიქსირონ, რომ კომენტარი კეთდება პირადად მათი პოზიციიდან და არა სასწავლო უნივერსიტეტის სახელით.
- 2.10. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის შენობასა და სასწავლო ინვენტარს, გამოიყენოს ისინი დანიშნულებისამებრ და დაიცვას უსაფრთხოების ზომები. დაუშვებელია სასწავლო უნივერსიტეტის რესურსების არაეკონომიურად და არამიზნობრივად (პირადი მიზნებისათვის) გამოყენება, თუკი არ არსებობს რექტორატის შესაბამისი ნებართვა.

3. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების ქცევის ნორმები

- 3.1. სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სტუდენტთა მხრიდან დისციპლინის ნორმების დაცვას აკონტროლებს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია – დაცვის სამსახური, ფაკულტეტის დეკანი ან განსაკუთრებულ შემთხვევებში რექტორი. ამავე დროს დისციპლინის კონტროლი დელეგირებულია პროფესორ-მასწავლებლებზე, სტუდენტთა თვით-მმართველობის ორგანოებსა და ორგანიზაციებზე. ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესის და კანონის დარღვევისთვის დგება სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხი როგორც სასწავლო უნივერსიტეტის წინაშე, ასევე კანონმდებლობის შესაბამისად.

- 3.2. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა მხრივ დისციპლინარული ნორმების დაცვის უზრუნველყოფის ძირითადი საფუძველია:
- ა) დისციპლინის არდამრღვევი სტუდენტის პიროვნული, საგანმანათლებლო და სოციალური განვითარების უფლებების დაცვა და უზრუნველყოფა;
 - ბ) სასწავლო უნივერსიტეტის სათანადოდ ფუნქციონირების უზრუნველყოფა
- 3.3. უნივერსიტეტში მყოფი სტუდენტების უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დაცვის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი და მისი ადმინისტრაცია მოვალეა მიიღოს ზომები ისეთი სტუდენტების ქმედებების აღსაკვეთად, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებენ სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფთა დაცულობას და უსაფრთხოებას. სტუდენტი, რომელსაც სურს უნივერსიტეტში სწავლა, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- ა) იცავდეს საუნივერსიტეტო ცხოვრების წესს
 - ბ) სწავლობდეს აკადემიური ჩამორჩენის გარეშე
 - გ) იცავდეს სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსს.

4.1 სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის დარღვევა იწვევს სტუდენტის მიმართ დისციპლინარული სახის ზომების გამოყენებას.

- 4.1. კანონის და წესების დარღვევის შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტის პედაგოგი და მომსახურე პერსონალი უფლებამოსილია დააყენოს კანონის დამრღვევი სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხი, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.
- 4.2. აუდიტორიაში სტუდენტის ყოფა-ქცევაზე პასუხისმგებელია პროფესორ-მასწავლებელი. თუ სტუდენტი დაარღვევს წესრიგს ან კანონს და ამით ხელს შეუშლის ლექციის მსვლელობას, ლექტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს აუდიტორიის დატოვება.
- 4.3. სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიის დაუფლებისას, სტუდენტს სწავლასთან ერთად მოეთხოვება აკადემიური ღირსებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა. სტუდენტი შემოდის უნივერსიტეტში, რათა ისწავლოს და პროფესიულად გაიზარდოს, აკადემიური დავალება თუ სამუშაო, რომელიც ეძლევა სტუდენტს შესასრულებლად, ემსახურება სწორედ აღნიშნულ მიზანს. ამგვარად, სტუდენტის ნაშრომი, ნიშნები და შეფასება, უნდა იყოს შედეგი აღნიშნული მიმართულებით მის მიერ პირადად გაწეული შრომისა, რომელიც მიზნად ისახავს მის განსწავლასა და პროფესიულ ზრდას. მიუღებელია აკადემიური დავალებისა თუ სამუშაოს შესრულების ყველა სხვა გზა, რომელიც არ ეფუძნება გაწეულ საკუთარ შრომასა და მეცადინეობას. აკადემიური ღირსება და კეთილსინდისიერება ნიშნავს ზემოაღნიშნული ძირეული დებულებების გაგებასა და გათავისებებას, რადგანაც, სხვა გზით საუნივერსიტეტო სწავლება-განათლება ვერ შედგება. სწავლების საფუძველია ურთიერთნდობა და

პატივისცემა, რომელიც აღმოცენდება სწავლების პროცესში სტუდენტსა და პროფესორს შორის. შესაბამისად, აკადემიური ქცევის წესების დარღვევა, მაგ.; გადაწერა, ან «შპარგალკის» გამოყენება - უბრალოდ კანონსაწინააღმდეგო საქციელი როდია, ესაა მთელი სასაწავლო პროცესის უარყოფა.

- 4.4. ყოველგვარი წერიტი დავალება უნდა იყოს საკუთარი სიტყვებით სტუდენტის აზრის გამოხატვის საშუალება. წერიტი დავალება, სულერთია ის იწერება აუდიტორიაში, თუ სასწავლო უნივერსიტეტის გარეთ, უნდა შესრულდეს სტუდენტის საკუთარი სიტყვებით და უნდა გამოხატავდეს მის საკუთარ ნააზრევს. თუ სტუდენტს სურს გამოიყენოს ციტირების მიზნით, სხვისი ნააზრევი ან გამონათქვამი, მან უნდა გააკეთოს შესაბამისი აღნიშვნები. ყველა სხვა შემთხვევაში ეს აღიქმება, როგორც აკადემიური ქცევის წესების დარღვევად, ანუ პლაგიატად. პლაგიატი ნიშნავს სხვა პიროვნების ნაშრომის, ნააზრების ან იდეის მითვისებას.
- 4.5. ტესტი უჩვენებს, რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა მასალა. ლექტორის მხრივ მასალის, სახელმძღვანელოს, წიგნების, კალკულატორის, კომპიუტერის და სხვ. გამოყენების სპეციალური უფლების არქონის შემთხვევაში, სტუდენტმა მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა შეასრულოს საგამოცდო დავალება. ეს გულისხმობს იმას, რომ ტესტირების/გამოცდის მიმდინარეობის დროს, მან დახმარება არ უნდა გაუწიოს სხვა პირებს და არც თვითონ მიიღოს დახმარება სხვებისაგან. გამოცდების დროს დაუშვებელია, გადაწერის მიზნით, ისეთი მასალების გამოყენება როგორცაა: «შპარგალკა», კონსპექტები და ა.შ. მსგავს საქციელში შემჩნეული სტუდენტი, დაუყოვნებლივ ტოვებს აუდიტორიას და იღებს შეფასებას «0», თუნდაც «შპარგალკის» გამოყენებამდე მას ფაქტობრივად დასრულებული ჰქონდეს ნაშრომი. გამოცდაზე წიგნების, ან სხვა მასალის გამოყენება არ ისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საამისოდ ლექტორის მიერ მიცემულია სპეციალური ნებართვა, და, შესაბამისად, სტუდენტი მოქმედებს საჯაროდ და არა ფარულად.
- 4.6. კოლექტიურ საშინაო დავალებებზე, პროექტებზე, რეფერატებზე კოლექტიურად მუშაობა საშინაო დავალებაზე არ უნდა დაირღვეს აკადემიური ღირსების წესები. ანუ ამ დროს არ უნდა მოხდეს კოლექტივის ერთი ან რამდენიმე წევრის მიერ სხვა წევრების ნამუშევრის მითვისება. ვინაიდან, სტუდენტის პროფესიული ზრდისთვის, საჭიროა, რომ საშინაო დავალება, რომელსაც მას პროფესორი აძლევს, იყოს მისი შრომის, მეცადინეობის, გამოთვლების, გააზრებისა და სხვ. შედეგი.
- 4.7. სასწავლო უნივერსიტეტში დისციპლინარულ გადაცდომას წარმოადგენს:
 - ა) საუნივერსიტეტო ეთიკის კოდექსის დარღვევა;
 - ბ) უნივერსიტეტში მოქმედი (შინაგანაწესში შეტანილი) ნორმების დარღვევა;

- გ) სწავლის პროცესისათვის – ლექციებისა და სემინარებისათვის – ხელის შეშლა, ხმაური, საუბარი;
- დ) ლექციებზე მობილური ტელეფონების გამოყენება;
- ე) ლექტორის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა;
- ვ) საუნივერსიტეტო დაცვისადმი დაუმორჩილებლობა;
- ზ) სიტყვიერი შეურაცხყოფა და ცილისწამება;
- თ) ნებადაურთველად შესვლა სასწავლო უნივერსიტეტის შენობაში;
- ი) სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრების გამოყენება სათანადო უფლების გარეშე (კომპიუტერის, მონაცემთა ბაზის და ხმოვანი საკომუნიკაციო საშუალებების ჩათვლით);
- კ) აკრძალულ ადგილებში (აუდიტორიებში, დერეფნებში და სხვა) სიგარეტის მოწევა;
- ლ) გამიზნულად ან დაუდევრობის მიზეზით ადამიანის უსაფრთხოების და სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრების საფრთხეში ჩაგდება;
- მ) განგებ ცრუ ინფორმაციის მიწოდება (ხანძრის, აფეთქების, ცრუ მუქარის ან სხვა მოვლენის შესახებ);
- ნ) სასწავლო უნივერსიტეტის სამსახურების მიერ მიცემული დავალება-განკარგულებების შეუსრულებლობა;
- ო) ავეჯის, ტექნიკის თუ სხვა სახის საუნივერსიტეტო საკუთრების დამტვრევა-დაზიანება;
- პ) კედლების დახატვა-დაბინძურება;
- ჟ) სასწავლო უნივერსიტეტის შიდა განაწესის სხვაგვარი დარღვევა

4.8. სტუდენტებს, რომლებიც შემჩნეული იქნებიან დისციპლინარულ გადაცდომებში ან დანაშაულის ჩადენაში, შეუჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და მათ მიმართ მასალები გადაეცემათ სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირებისათვის. ასეთ გადაცდომებს და დანაშაულს განეკუთვნება:

- ა) ფალსიფიცირება, უნივერსიტეტის დოკუმენტების ან ჩანაწერების გადაკეთება და შეცვლა ნებართვის გარეშე;
- ბ) ძალის გამოყენება, თავდასხმა, ან ძალის გამოყენების მუქარა პიროვნების მიმართ;
- გ) იარაღის ტარება, საშიში ნივთიერებების, ასაფეთქებლების თან ქონა;
- დ) სექსუალური ძალადობა;
- ე) ნარკოტიკული ნივთიერების და ალკოჰოლის ხმარება-გავრცელება;
- ვ) სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრების, მათ შორის საუნივერსიტეტო ტექნიკის მოპარვა-მიტაცება;
- ზ) უნივერსიტეტში ქურდობა-ყაჩაღობა;
- თ) სახელმწიფო კანონების დარღვევა;
- ი) ცრუმოწმეობა.

5. დისციპლინარული სასჯელი/ზომები

5.1. საუნივერსიტეტო აკადემიური ცხოვრების წესებისა და ეთიკის კოდექსის დარღვევაში შემჩნეული თანამშრომლის/სტუდენტის საკითხს განიხილავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, რომელიც უფლებამოსილია დანაშაულის სიმძიმის მიხედვით გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

ა) გაფრთხილება

ბ) საყვედური

გ) ფულადი ჯარიმა

დ) თანამშრომლებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტა

თანამშრომელს/სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს მისი საკითხის განხილვას და დაიცვას საკუთარი პოზიცია. თუკი დანაშაულით ირღვევა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, სასწავლო უნივერსიტეტი ამის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის შესაბამის ორგანოებს.